

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.



1910 სათვევრო სალიტერ. კვირეული ჟურნალი № 10

1910 წ.

კვირა 7 მარტი

1910 წ.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა მ ბ რ ი

კვირას, 14 მარტს 1910 წ. მ. მ. საფ.-აბაშიძის თაოსნობით და ქველის დანის ონაწილეობით წამოადგენილი იქნება **ნათაბალა** გ. ნ. სუნდუკიანისა, ნატალიან როლან შესრულებს **მ. მ. საფ.-აბაშიძისა**

### გეოგრაფი



სტუდის, სტუდის, ვისაც უთქვამს  
ჩაგრულ ერის დაობლება!  
მას შუობლები ისევე ჰყავს  
და მარადის ეყოლება.  
ჰყავს და გულით კიდევ უყვარს.  
მათს უბემში ითბობს ხელსა;  
სიხარულით აღგზნებული  
ქებას უმღერს მათს სახელსა!..

ი. მ. მ. მ.



აბაჯი

ზარბადაც დაბრუნების გამა

ქართული გეოგრაფიის

40 წ. საწყურლო მთავაწეობის  
გამა



წლურად 5 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. სახ. კანტ., იოსებ იმედაშვილთან თიფ., რედ. „Театри да Цховреба“  
Иос. Зах. Имедашвили.

7 მატი 1910 წ.

**ჩვენი თეატრი** და თეატრის მხოლოდ მაშენ მოსიარულენი. შინ აქვს დიდი მნიშვნელობა, როდესაც სავესებით ასრულებს თავის დანიშნულებას—თავგამოდებით ემსახურება აღნიშნულ მიზანსა და მრავალი მაყურებელ-მსმენელი ჰყავს.

თეატრი, რასაკვირველია, საჭიროა ყველასათვის განუზრგველად წოდებისა, სქესისა, ეროვნებისა და ყოფა-მდგომარეობისა, მაგრამ იგი უმეტეს საჭიროა მღაბითა, მეშუა, საშუალო ინტელიგენციასა და მოწაფეთათვის:—ფართოდ უნდა ჰქონდეს კარი დია, ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი და შესაფერი.

მღაბით ხალხსა და მოწაფეთ თეატრისადმი რომ ლტოლილება გაღვივებული აქვთ, ამას ამტკაცებს სახალხო თეატრები და აგრედვე ის გარემოება, რომ ქართულ თეატრის კასაში უფრო იაფფასიანი ბილეთები იყიდება ხოლმე. იგივე მღაბით ხალხ საშუალო ინტელიგენცია და მოწაფენი არიან ჩვენის თეატრის მასზრდოლებელნი...

მაგრამ ცხოვრება იმდენად გართულდა, იმდენი მოთხოვნილება წარუდგინა ჩვენის დროის მოქალაქეს, რომ თვით საშუალო ინტელიგენტს, საშუალო ქანება-მდგომარეობის კაცსაც ყოველთვის არ ძალუძს კვირაში ორისამი მანათის გაღება ესტეტურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მდგომარეობა მღაბით ხალხისა და მოსწავლეთა თავისთავად ცხდია.

მოსწავლეს, მაგ., ქართულ თეატრში მაშინ ძძლევა ბილეთი, როდესაც ლოყები გაუყიდავი რება. საზოგადოების ეს ნაწილინი-კი ჩვენს იმედს შეადგენენ და ამიტომ საჭიროა მათზე მეტი მზრუნველობა... უნდა საქმით დავუმტკიცოთ, რომ იგინი გრვირ-კი არა, არამედ სრულ უფლებიანი წევრნი არიან იმ დიდებული საკურთხვევლისა, რომელსაც წმინდა ხელოვნების ტაძარი ეწოდება.

**შინაარსი:** ჩვენი თეატრი და მუნ მოსიარულენი (მეთაური; ტ—ს, ლექსი დუტუ შეგრელის; თეატრის გამგეთა და სცენის მოღვაწეთა საურადადგობად, მ. მ. საფ. აბაშიძის; მარის მეტერ-ლიხვი და თეატრი, პეტრე დავაძის; მსადად ბუნება, ლექსი გ. ტბიძის; ჯიჯახანდ, ნ. ლორთქიფანიძის, შიბეტქადაყუბანი, მ. თუგუერის; მხტეკლეკი, ზიეს ჯდ. როსტანის, თარგ, ა. მს-შისაქილის და რ. ბეზიაშვილის; ქართული თეატრალური მწერლე-ბი, ზ. ჯ. იქისის; ბილიოგრაფთა, Artemius-ის; დიდი მარხვა?! მ. ფაცსოფლის; მცირე შენიშვნა, ა. თუთაყვის; ფ. შაბუნი, მ-ლის; სწასკეთის თეატრი, მერცხლის; ლექსნი ი. მჭკალიძისა-ლისა, გ. შინანდის; სთეატრად ამბობ; ჩვენი მოღვაწენი და სხ.

თეატრის ბედის გამგეთ უეჭველია ამ გა-რემოებას ანგარიში უნდა გაუწიონ და ცვა-ღონ ამ ნაკლის თავიდან აცდენას: იაფ-ფა-სიანი ადგილები მოემატოს, მოწაფეთათვის მუღმივა ადგილები დაწესდეს და, საზოგადოდ, თეატრს ის ნაკლი მოაშრონ, რაც შენიშნულ იქმნა ახლის წარსულში.

ამას მოითხოვს საქმის სარგებლობა, სამართ-ლიანობა და ჩვენი თეატრისადმი სიყვარული...

ტ-ს

კვლავ მიყვარხარ, კვლავ თაყვანს გცემ, როცა გისმენ, აღფრთოვებულს, და ვუყუარებ შენს თვალებში ღვთიურ ცეცხლსა, გაბრწყინებულს!

მაშინ მხალღი და უძღური, კვლავ მხნევედები, ძლიერდები და, უზბალო მიწის შვილი, თვით ციურთა შეედრები.

წმინდა გრძობით აღგზნებული, ჰფრენ ოცნების სამთავროში; ვერა ძალა ვეღარ გბორკავს, ვერც სივრცისა და ვერც დროში!

წინ გეშლება მთლად ცხოვრება თვის სინათლით და წყვილიადით და ბუნებაც გაულსა გისნის თვის სიტურფე-სილიადით,

და შენც, ვითა შემოქმედი, ჰქმნი ახალსა სულ სამყაროს, წამს საწმინელ—სიხარულსა, წამს მომხიბლველ—სანეტაროს;

ხან უწყალოდ სამარცხენო ბოძზე აკრავ უღირს შვილებს, ხან გვაბრლებ დაჩაგრულთა და გვაყვარებ რჩეულ გმირებს!...

კვლავ მიყვარხარ, კვლავ თაყვანს გცემ, როცა გისმენ, აღფრთოვებულს; როცა გხედავ შენს თვალებში ღვთიურ ცეცხლსა, გაბრწყინებულს!...

ღუბუ მერგელი

თეატრის გამეფთა და

სყენის მოღვაწეთა საყურადღებოდ

სცენაზე მოღვაწეობის ყოველმა მსურველმა უნდა გამოგზავნოს თავისი სურათი, ცნობანი: რადენი წლისაა, სად მიუღია სწავლა-განათლება, უთამაშია როდისმე სცენაზე თუ არა, რა ხასიათის როლში აპირებს გამოსცადოს თავი თავი. ამ ცნობათა წარმოდგენის შემდეგ დენიწნება ქალს ანუ ვაჟს ორი გამოსაცდელი წარმოდგენა და თუ ორივეში, როგორც მაყურებელზედ, აგრედვე პრესის წარმომადგენლებზე ჯეროვან შთაბეჭდილება მოახდინა, სამუდამოდ დასში ჩაირიცხება სეზონის დაწყების დღიდან, თუ, რასაკვირველია, შემოსენებული პირის პირობებს გამეფობა ხელსაყრელად დაინახავს. გამოსაცდელ წარმოდგენაში გამეფობა ვერ მისცემს ტანისამოსს, თუ ეს ტანისამოსი ჩვეულებრივი ანუ ევროპული არის და თუ ისტორიულია, მაშინ გამეფობის ვალია. აგრედვე ვერ იკისრებს გზის ხარჯს გამეფობა, თუ ეს ქალი ანუ ვაჟი არ გამოდგა სათეატრო ასპირანტისათვის. ამას იმიტომ ვწერ რომ ძალიან ხშირად გამეფობისა და ამ ახალგაზრდა მსახიობთ შორის იბადება უხერხული მდგომარეობა: მოდის ახალგაზრდა მსახიობი და გამეფობას უცხადებს: „მე გვრძნობ, შესანიშნავი არტისტი ვიქნებიო!“ ანუ მოიყვანს ვისმე ნაცნობს, რომელიც უმოწმებს „დიდი ნიჭის მქონიობას“. გამეფობაც, მოტყუებული ამ მსახიობის მეტის მეტად ვაბედული, რიხიანი ლაპარაკით და უფრო ხშირად-კი გარეგანი შეხედულობით, უნიშნავს ისეთ ჯამაგირს, რომლის მესამედიც თვით სახელ - განთქმულ ძველ არტისტებსაც არა ჰქონიათ. უეკრფენ ტანისამოსს, უნიშნავენ გამოსაცდელ წარმოდგენას, — განა ერთს — სამს, ოთხს, — ზედიზედ და ბოლოს რა გამოდის: ეს თავგამოდებული ვაჟბატონი ანუ ქალბატონი სცენაზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მერე ნამდვილი არტისტების კარგ წარმოდგენასაც ხანგრძლივი დრო სჭირდება იმ საღამოს წამებით გათხსნიებული ხალხის ნდობის მოპოვებას. რათა, რისთვის, რათა ჰკარგავს გამეფობა ამისთანა წარმოდგენებზე ან დროს, ან ფულს და მეტადრე რად აფრთხობს იმ ხალხს, რომელიც შესაძლოა გაჭირვებით აწვდის თავის წვლილს სცენას, რომ ხელი შეუწყოს მის აყვავებას. თუ

იმას იტყვიან, სურვილი გვაქვს კარგი მსახიობი მოვიპოვოთო. განა ეს სურვილი ვერ შეუძლია აღსრულებაში მოიყვანოს იმ უფლებით, რომელიც სათეატრო წესად არის შემოღებული: ჯერ გამოსცადოს და მერე ჯამაგირი ღირსების დაკვალოდ დაუნიშნოს. მოიგანეთ 1908 წლის სეზონი. რითი ინტელმდვანელა პატივეცემულმა გამეფობამ, როდესაც ჯამაგირები დაუნიშნა ორ-სამ ისეთ პირს, რომლებიც არამც თუ არ მოეწონა ხალხს, არამედ მათ სახელს ახლაც შიშით მოიგანებს ხოლმე. რომ ამისთანა უხერხული მდგომარეობა გამეფობამ თავიდან აიცილოს და იმავე დროს არ დაკარგოს, იქნება, მართლა გამოსადეგი მსახიობი, საჭიროა ეს წარმოდგენა იყოს უფასო, შინაური და არა საჯაროდ, რომელზედაც უნდა მოწვეულ იქნენ მკოდნე პირნი თეატრისა და ხელოვნებისა, მწერლები, არტისტები და როდესაც ეს პირი მაყურებელთა აზრით ჩათვლება გამოსადეგ მსახიობად, მხოლოდ მაშინ უნდა გამოუშვან სცენაზე. მანამდის-კი არავითარი უფლება არა აქვს გამეფობას ფულიც გადასადგენინოს საზოგადოებას და წამებაც მიუსჯალოს, როგორც არა ერთხელ მომხდარა ჩვენს თეატრში: საძაგელი თამაშით მობეზრებული მაყურებელი ან ღრმა ძილს მისცემია ან შუა წარმოდგენიდან წასულა.

შარშან და შარშანწინ ბარე რვა-ცხრა პირი გამოსცადეს საჯაროდ და მათში ბევრმა არ ივარკა. ვინ ამბობს, გამოსაცდელი წარმოდგენა ყველას უნდა მიეცეს, მაგრამ შინაურულად და არა საჯაროდ. ამ რვა-ცხრა პირზე წავიდა დრო, დიხარჯა ფული, დაფთხა ხალხი და რა შეგვემატა: მარტო საყვედური და ხარჯი ბარე ას თუმანამდე.

ბოდიშს ვიხილ პატივეცემულ გამეფობასთან, მაგრამ საზოგადოების - მიერ ამორჩეულმა და ყოველგვარი ნდობით აღჭურვილმა პირმა ძალიან თავაზიანად და დიდის დაფიქრებით უნდა გამოიყენოს ეს ნდობა და ასე ადვილად არა ფლანგოს საზოგადოების-მიერ შეწირული ფული. მე ქართულ წარმოდგენიდან შემოსულ ფულსაც **შეწირულს** ვცხადებ, რადგან მეტი წილი ჩვენი წარმოდგენებისა უფრო პატრიოტულ გრძნობას აკმაყოფილებს, ვიდრე ესტეტიურს.

მარიამ მიხ. საფ.-აბაშიძისა

### მორის მეტერლინი და თეატრი\*)

მორის მეტერლინიკი მამამთავარია ახალის ფილოსოფიისა. მან შექმნა ახალი კოსმოლოგია, დაგვანახა თანამედროვე ადამიანის სულის კვეთება, მისი მისწრაფება პიროვნების გათავისუფლებისაკენ, მისი უძლურება ობიექტიურ ბუნებასთან, სამყაროს სასტიკ კანონებთან ბრძოლაში და ამ უძლურების მიზეზი. თანახმად თავისი ფილოსოფიური თვალთ-საზრისისა იგი მოსთხოვს თანამედროვე თეატრსა და პოეზიას ახალ პრობლემებს. მეტერლინიკის აზრით უზენაეს სამყაროსთან სულის პირველყოფილი დამოკიდებულება წარმოადგენს სიმშვენიერეს; ამ სიმშვენიერის შემწეობით უახლოვდება ადამიანი სამყაროს საიდუმლოებათ. ამიტომ მისი აზრით, მხოლოდ ის ხელოვნებაა ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელიც მრავალ მოვლენათა შორის შენიშნავს სულის არსებობას, რომელიც ადამიანის თვითფულს ყოველდღიურს ნაბიჯში დაინახავს სულის არსებობის გამოხატულებას. რასაკვირველია, ეს აზრი წარმოადგენს იდეას ახალ ხელოვნების შესახებ, ამ ხელოვნების შესახებ, რომელსაც ცხოვრების მოვლენათა ასაწონ-დასაწონად, მათი მნიშვნელობის გამოსარკვევად ხელთ ექმნება ახალი კრიტერიუმი. ძველი ხელოვნება პირველ პლანზე აყენებდა ღირსშესანიშნავ ფაქტს. ახალი ხელოვნება უარყოფს ამ გარეგანს კრიტერიუმს და პირველობას უთმობს იმ მოვლენათ, რომელშიაც გამოსჭვივის სულის არსებობა, ამ არსებობის თავისებური კანონები. ამ მხრივ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება უფრო დიად სიუჟეტს წარმოადგენს ხელოვანი მხატვრისათვის, ვიდრე ღირსშესანიშნავი, თუნდაც ისტორიული ფაქტები. ახალი პოეტი, რომლის მიზანია დაგვანახოს სულის არსებობა, დაგვანახოს უზიაროი არსება თავისი გმირებისა, სწერს დრამას, რომელსაც აქვს თავისი ლოჯიკა, მოვლენათა თავისებური განვითარება. ხშირად ყოველივე ის, რაიც მატერიალურ გარეშე ბუნებისათვის ღირსშესანიშნავია, შეუშინველად რჩება სულს, მის არსებობაზე არავითარი გავლენა არა აქვს. ამასთან ერთად ხშირად სული განიცდის ისეთს ძლიერს

ძრწუნებას, რომელიც უზმაურად, უფვეტოდ ჩაივლის ხოლმე ჩვენს გარე-ცხოვრებაში. მეტერლინიკის აზრით, ტრაგიზმი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშია, და ამ ტრაგიზმს მეტი თვისტომობა აქვს ჩვენს არსებობასთან. საძირკველი ამ ტრაგიზმისა არ არის მატერიალური და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პსიხოლოგიასთან. ამიტომაც ამ ტრაგიზმის ჩვენება არც ისე ადვილია: ადამიანი მას უნდა სწვდებოდეს უსაშუალოდ, გრძნობით. აქ საქმე ერთი არსების მეორესთან, ბრძოლაში-კი არ მდგომარეობს, არამედ ერთი სურვილის მეორესთან, ვნებასთან მოვალეობის საზარადისო ბრძოლაში. საქმე ის არის დაგვანახონ, რა არის საკვირველი ცხოვრების უმნიშვნელო ფაქტში. საქმე ის არის, დაგვანახონ სულის არსებობა დაუბოლოებელ სამყაროს გულის სიღრმეში. საქმე ის არის, გვაძულონ გრძნობისა და გონების ჩვეულებრივ საუბარში გვესმოდეს ღიბებული დაუსრულებელი საუბარი სულისა ბედისწერასთან. საქმე ის არის, გვაძულონ თვალი ვადევნოთ ადამიანის არსების დაუსრულებელ, შავბედი თეატრს, იმ არსებისას, რომელიც ხან უახლოვდება თავის ჭეშმარიტებას, თავის სიმშვენიერეს, თავის ღმერთსა, ხან შორდება მათ. დიახაც, რომ არც ერთს თანამედროვე ესტეტიკოს არ აღუნუსხავს სიმბოლიურ თეატრის პრობლემები ასეთი მოკლე, მაგრამ მარტივი ფორმულით. არ აღუნუსხავს ასე მოკლედ არსებითი განსხვავება ძველსა და ახალ დრამათ შორის. ძველი ტრაგიკული პოეტები გვიხატავდნენ, „ერთი არსების მეორესთან“, სურვილების ბრძოლის, სამზარდისო კონფლიქტს ვნებასა და მოვალეობის შორის. ახალმა ტრაგიკელიმ უნდა დაგვანახოს არსებობა სულისა. მან უნდა მეორე ადგილი დაუთმოს გრძნობასთან გონების საუბარს, პირველობა უნდა მიასაკუთროს ბედისწერასთან სულის საუბარს. ეს საუბარი არის ვადაცემა ჩვენი სულიერი მდგომარეობის, რომელიც ინდივიდუალურია და ვერ გამოიხატება ყველასთვის საერთო ენით. ძველი დრამატურები მხოლოდ ოდნავ ეხებოდნენ ჩვენს სულიერ მდგომარეობას. მათი კონცეპტია ვერ გასცილებია „ცხოვრებას საშინელს და ცხოვრებას წარსულს“. ეს არის მი-

\*) Коран. Зап.-Евр. Лит. III

ზენი, რომ ჩვენი თეატრი ანაქრონიკულია. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი დრამატული ხელოვნება რადენიმე საუკუნეთი დაქვეითდა, დაქვეითდა მაშინ, როს მუსიკა და მხატვრობა გამარჯვების სურვილით განცხოველებული მიიწვეს წინ. ამ ხელოვნებათა დადასტურეს ფაქტი, რომ „ცხოვრებამ დაკარგა გარეგნობაში, შეიძინა სიღრმეში“. ამიტომ არის, რომ თანამედროვე ხელოვან მხატვარი აღარ ხატავს რომელიმე მხედართმთავარს მარიუსს, ჰერკოვ და გივის მკვლელობას. აღარ ხატავს, რადგან მკვლელობისა და მასზე აშენებულ გამარჯვების სისხლოვან ელემენტარულია და განსაკუთრებული, რადგან საშინელების უაზრო ხმაურობა ამკვდარებს გულის სიღრმიდან აღმონახეთქს ჩუმ ხმას, არსებათ და საგნების იდუმალ ხმას. თანამედროვე ხელოვანი დახატავს „აბიზინებულ მინდორზე განმარტოვებულს ოდას, ღია კარებს, უძრავს სახეს, უძრავს ხელებს. ეს მარტივი გამოხატულება შეგვეჩვენა ჩვენ რაიმე ახალს, და ეს შენაძენი არასოდეს არ დაიკარგების“...

მეტერლინი უკმეხად ატყდება თავს ტრაგიკების იმ დაშვებით, რომელიც არ დალატობენ ძველი სკოლის ტრადიციებს და აგვიწერენ ბორჯომკმედემათ, მკვლელობათ და დალატს, საზოგადოთ მას, რაც სულს უტკობდა ჩვენ წინაპართა-ბარბაროსებს. თვით მეტერლინი ხან და ხან რეალისტობს: მისი აზრით ხელოვნების ფორმები უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებას და გემოვნებათ. ამ ფორმებში არასოდეს არ მოიპოვება აბსოლიუტიური სიმშვენიერე. ახალი თეატრი არის ხელოვნური თეატრი, ვინაიდან, „ჩვენი ცხოვრება მოშორებულია სისხლს, წივილ-კვილსა და დაშენებს; ადამიანთა ცრემლები კი უტყვარიან, უხილავნი, თითქმის სულიერნი“. ძვირფასი თვისება მეტერლინიკისა გამოიხატება სწორედ ამ გულ-ახლილ საუბარში. ეს გულ-ახლილობა ნაადრევი სიმპტომია ნეო-რეალიზმისა და მეცნიერულ თვალთსაზრისის გამეფებისა. რომ ჩვენი ცხოვრება მოშორებულია სისხლს, კვილსა და დაშენების ტრიალს, ეს სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომლის რეალური მიზეზთა აღმოჩენა არც ისე ძნელია. ეს გულახლილობა მეტერლინიკისა იმ კემშარი-

ტების დადასტურებაა, რომ სოციალური ურთიერთობის ხასიათის შეცვლასთან ერთად შეიცვლება ის ატმოსფერაც, რომელშიც ჩვენს არსებობას სდევდა სისხლი, კვილი და იარალი. მაშინ თეატრიც ზურგს არ უჩვენებს ხელოვნების ძველ ფორმათ: იგი დაუბრუნდება მათ. თუ მეტერლინიკი თავის ფილოსოფიურ სისტემაში გვითითებს საზოგადოების მოთხოვნილება და გემოვნებაზე, იგი ძირს უთხრის აბსოლიუტიურ სიმშვენიერის იდეას. მისი აზრით ხელოვნება წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების გარდობათა, შემეცნებათა და გულის ნადების ოტებას. იგი ეთანხმება შესახებლობის პრინციპს. აშკარაა, საკითხი—თუ რომელი ხელოვნება უკეთესი, ძველი თუ ახალი,—იფუშება თავისითვე. შექსპირის თეატრი ისევე კანონიერია, როგორც მეტერლინიკის თეატრი, ვინაიდან ერთი და მეორეც აკმაყოფილებს თავის დროის რეალურ მოთხოვნილებათ.

რასაკვირველია, ამგვარ დისონანსს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ორი მსოფლმხედველობის კოლიზიის იშვიათად შეზღვებით მეტერლინიკის ფილოსოფიასა და ესტეტიკაში. ამ ფილოსოფიის საზოგადო ტონი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მეტერლინიკისათვის ახალი თეატრი ნაკლებათ წაროადგენს თავის დროის შესაფერ თეატრს; ეს თეატრი არ წარმოადგენს გონებისა და ზნეობის თანამდროვე მდგომარეობის ოტებას. მისი აზრით ეს თეატრი უპირველესად ყოვლისა სამარადისო ცხოვრებისაკენ მიმავალი გზაა. იგი უზენაესის წმინდახარებაა. იგი არის აბსოლიუტიურის კოსმოსის საიდუმლოების და სულის უხილავი ცხოვრების გამოაშკარავება, შეთვისება.

ძველი ტიპის პიესები არ აკმაყოფილებენ მეტერლინიკს. როდესაც მათ სცენაზე ხედავს, იგი დარწმუნებულია, რომ რადენსამე წამს, საათს იგი თავის წინაპართა შორის ატარებს, რომ ამ წინაპრებს ცხოვრების შესახებ ჰქონიათ რაღაც მარტივი, უაზრო და ხამი წარმოდგენა, რომელსაც იგი ვერასოდეს ვერ შეითვისებს. „ჩემ ვხედავ აქ მოტყუებულ ქმარს, რომელიც კლავს თავის ცოლს; ქალს, რომელიც სწამლავს თავის მოტრფივალს; შვილს, რომელიც ეძიებს მამის სისხლს; მამას, თავის

შვილების მკვლელებს; შვილებს, თავის მამის მკვლელებს; მოკლულ მბრძანებელთ; გაუპატიურებელ ქალწულთ და დატყვევებულ მოქალაქეთ. რა ბუმბერაზობაა, ტრადიციული, აშენებული სისხლზე, ცრემლებსა და სიკვდილზე! "... ასეთია ძველი თეატრი, რომელსაც არ ძალუძს რამე ამცნოს მაყურებელს, რადგანაც არსნი გამოყვანილნი სცენაზე, შებოჭილ არიან შაბლონიური, ძალით შთანერგილი იდეით; ისინი ისე არიან ვატაცებული ცხოვრების გარეგან გამოხატულებით, ვნებათა ღელვით და გრძნობათა თამაშით, რომ ვერც-კი ამჩნევენ, როგორ სთვლემს მათი სული. და ან რა უნდა უთხრას, ამცნოს მაყურებელს კაცმა, „რომელიც იგი იცის სიციცხლისათვის, ვინაიდან იგი ფიქრობს მოწინააღმდეგის ან სატროფს მოკვლას“. ჰამლეტი გაცილებით მაღლა სდგას ოტელოზე, როგორც კაზმული ხატება. ჰამლეტი არ მოქმედობს, ამიტომ მას ბევრი დრო აქვს სიციცხლისათვის. ოტელო არ ცხოვრობს. უმაღლესი, ყოველ-დღიური სიციცხლით, ვინაიდან იგი გვაჯიანია. ოტელო წარმოადგენს ნაყოფს იმ ძველის შეცდომისას, ვითომცუ ადამიანი მხოლოდ მაშინ ცხოვრობდეს აზრიანისა და ლამაზი სიციცხლით, როდესაც მას ფლობს რომელიმე მძლავრი ვნება. დიახაც, მოდერნიზმის მესვეურს მეტერლინკს არაფერად უღირს „გონებისა და გრძნობის საუბარი“. ახალს თეატრს იგი სულ სხვა პრობლემებზე უთითებს: „მე მოვედი თეატრში; იმედი მქონდა ვნახავდი რასმე იმ ცხოვრებიდან, რომელიც დაკავშირებულია თავის მშობელ წყაროსთან და საიდუმლოებასთან; ამ უკანასკნელთ მუდმივ შესანიშნავად-კი მე ჩემი საკუთარი ძალი და ღონე არ შემწევს, მე მოვედი თეატრში. იმედი მქონდა, ერთს წუთს მაინც დაესტატებოლი ჩემი ყოველდღიური ქვარტლიანი არსებობის სიღამაზით, მისი ბუმბერაზობით, მისი მნიშვნელობით. მე იმედი მქონდა შევნიშნავდი, აღმოვაჩენდი ვისღაც მუნყოფას, რომელიმე ძალს ან ღვთაებას, რომელიც ჩემს ოთახში ჩემთან ერთად ცხოვრობს. მე მწყურვალა, მენატრებოდა რაღაც სანეტარო წუთები, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ამგვარ წუთებს მე განვიციდი ჩემი ცხოვრების ყოველ უმნიშვნელო საათში... მაგრამ აპაო! სცენაზე ვხედავდი კაცს, რომელიც დიდ ხანს მეგნებოდა, რატომ არის ის ასე გვაჯიანი, რათ უსპობს მზამით სიციცხლეს სხვებს ან რათ იკლავს თავს...“

პეტრე დავაძე



დესპინე ივანიძე

ქუთაისის თეატრის მსახიობიქალი

მხოლოდ მუნებ

1

ნუ მომაგონებ, ჩემო ღვთაებო,  
იმ ნეტარ ღიმილს, იმ სავეს ღამეს:  
ვერ ველირსები ბედნიერებას,  
ვერ ველირსები კვლავ იმ სიამეს,  
ვერ ველირსები კვლავ იმ გვარ კოცნას,  
ბურუსში ხვეულს ტკბილს და მომხიბლავს.  
ნუ მომაგონებ დაკარგულ ედემს,  
ნუ მომაგონებ ჩემს შეგზნელ საფლავს!

2

შენს თვალეზში სიციცხლე კრთის  
ტკბილ-ნეტარი, მოკამკამე,  
ხან ნათელი, ვით ღღის შუქი,  
ხან შეგზნელი, როგორც ღამე.  
მე კი, ტურფავ, საფლავი ვარ,  
გულ-ცივი და მარტოდ-მარტო...  
არ-რა, მატკობს... არც მსურს ვისმეს  
გულის ფიქრი განვეუშარტო.

3

ღამეა.. ცელქი ნიავი დაჰქრის...  
მთვარე ღიმილით მესაუბრება;  
„შენ შეგითვისებს, სულით ობოლო,  
მხოლოდ ბუნება.. მხოლოდ ბუნება!“  
რითმების გუნდი გარს მომხვევია,  
ყვავილი წყნარად მეჩურჩულება:  
„სულით ობოლო.. შენ შეგითვისებს  
მხოლოდ ბუნება.. მხოლოდ ბუნება!“

გ. ტაბიძე

## ჯიოკონდა

რა აკლია ამ ქალს?

შვენიერება! რასაც პოეტი ამკობს, რაზედაც მხატვარი ოცნებობს, რაც ჰქმნის მომღერალის გულში წარმატებას—ყველაფერი ერთს სხეულში შეუტრეხება ბუნებას. ბავშვობისას ტყვილა არ დაყავდათ დიდი-დილაობით გაფურჩქნელი ბაღში სასეირნოდ, შუადღით მუზეუმების დასათვალიერებლად, საღამოს ტყვილა არ უსმენდა მომღერალთ! სურნელება ბაღის, სინაზე მართოლვარე ხმის, მიხვრა-მოხვრა ქანდაკების შეუსევამს, შეუსისხლოხორცებია.

მაშ, რატომ, როცა წყნარად შევადგებ ოთახის კარებს, ფიქრებში გართულს დავინახავ? თავი ხელზე დაუყვრდნია, და გადაშლილი წიგნი ფურცლებს ვაღუშლოელი რჩება...

შეძლებულათ ცხოვრებენ.

ქმარი თავს ევლებს. თვითონ კი... აი ამას წინათ სიღამაზით ვანთქმულმა ვაყმა დაუპირა გარწყიება; ქალმა დამკინაფის ღიმილით ჰკითხა: იცით, რამდენი წერილი ვარდება ფოსტის ყუთში აღრეს არეული? ასეთს წერილებს ხევენ, ბატონო.

ჟმაწვილმა ვერაფერი უპასუხა, შეკრთა და სამუდამოთ გამოშრა.

საზოგადოებაში მაინცა და მაინც არ უყვართ, მაგრამ პატეის ვერ აკლებენ, რადგან ღრმად ნაგრძნობს და გამჭრიახად ნააზრევს ლაზათიანად გამოთქვამს ტკბილის ხმით ოთხ-ხუთ ენაზე. მოწყენა შეენის, ღიმი უხდება. როცა საზოგადოებაში გაერევა უნებურათ იპყრობს ყურადღებას, და გაისმის კითხვა-ძახილი: ვინ არის? დღეს ჩვეულებრივზე უკეთესია.

მაშ, რა აკლია ამ ქალს?

ერთხელ ქეშმარიტების მიუხწველობაზე გამოვებასე.

— მართალი გითხრათ, დასაბამი და მიზანი არ მაინტერესებს! გადაჭრით მიპასუხა ქალმა. რაც საჭიროა დღევანდელ ცხოვრებისთვის, რაც ამშვენებს და აკეთილშობილებს ცხოვრებას—ისაა სანუკვარი ჩემთვის.

ამ ქალს ყოველ საგნისთვის გადაწყვეტილი პასუხი აქვს, უკვე ნაფიქრი.

სილატაკე-სიმდიდრეზე, მათ წინააღმდეგობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

სილატაკე-სიმდიდრე ძნელი ვასაზომია—შენიშნა ქალმა. ვინ უფრო მდიდარია და ვინ უფრო ღარიბი ვერ ვაზომავთ, რადგან ერთს შეიძლება იმდენს ბედნიერებას ვერ მისცემს ოქრო და ბრილიანტი, როგორც მეორეს თაღლითი და ჩითის კაბა. საჭიროა მხოლოდ, რომ აღმაინს სურვილის მისაღწევად ყოველი ძალისა და ნიჭის ხმარება შეეძლოს—ეს იქნება სიმდიდრე. კაცობრიობა ნელ-ნელა უახლოვდება კიდევ ამ მდგომარეობას.

ქალი 27—28 წლისაა.

მაშ, რა აკლია ამ ქალს?

ერთხელ გაზეთში წავიკითხეთ პატარა შენიშვნა ჩვენი ერის გადაგვარებაზე, აღმოფხვრაზე.

საკვირველია—ჩაუთოა სიტყვა ქალმა—ეს წუწუნი ჩვენი პატრიოტებისა. ბუნებაში ბრძოლაა. ერთი ერი, როგორც ერთი სხეული ირღვევა, მეორე იზადება. ხან ავითაა, ხან კარგათ. ჩვენი ერი სრულიათაც არ აპირებს აღმოფხვრას და გაცამტვერებას, პირიქით მის სიმაჯაგეზე, სიცოცხლის უნარზე ღაღადებს ამ აუტანელ მდგომარეობის შედარებით ადვილათ გადატანა. ვალიაში სიკვდილზე ძახილი არც საჭიროა და არც მართალი.

დავსვირთობდით. ვიღაც ღარიბი მასწავლებელი ქალი დავინახეთ. დაქანცული, გაცრეცილ ტანისცემელში ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, უსათუოდ, სახლისაკენ.

ვინაა?—დამეკითხა ქალი.

მასწავლებელი.

საწყაილი!

—როგორ თუ საწყაილი. ისარის ბედნიერი მის ხელშია ყოველ ჩვენგანის იმედი: პატარა ბავშვები არიან ხელოვნების, მეცნიერების, ბედნიერების და თავისუფლების მქედელნი.

— მაგის მუცელში-კი შიმშილი ბუღობს და ტანს სიცივე სწურავს! ადგებით მიპასუხა ქალმა.

— იქნებ ახლა ღვიძლ პაწიასთან მიიჩქარის.

— მით უარესი.

ჩვენი ხატების შექმნა არაფერია?!

— Липшья отъѣз! მომიტრა სიტყვა ქალმა.

—

რა აკლია ამ ქალს?

სასამართლოში ვიღაც ქალის არა ჩვეულებრივი დანაშაულება იჩნეოდა.

მივედი ჩემ ნაცნობ ქალთან. მეტად მოწყენილი და აღელვებული იყო.

— დასჯიან? დამეკითხა ქალი.

— უსათუოდ!

— ვეჭილი ცული ჰყავს?

— არა, კარგი, მაგრამ საქმე ნათელია.

დაუსჯელი ვერ გადარჩება! მოტივი და ნაშაულებებისა-კი გაუვებარია!

— ძლიერ ვასაგებია, ბატონო! მოსწყინდა ქალს მუდმივი სიწმიდე, მოსწყინდა ერთი და იგივე სიტყვა, წმინდა ფანჯრები და ზრდილობიანი სიტყვები. მოსწყინდა მოლაქული იატაკი და ფერადებით შეღებილი ქერი. მოსწყინდა წმინდა ზეწარი და დაკანონებული წმინდა ამბორი ქმრისა; წმინდა და დაკანონებული, მხოლოდ ჩუმი, ამბორი საყვარლისა— ეძებდა ერთს უეტარს ამაღლელებელს ნახტომს... უფსკრულისა და ჯოჯოხეთის შუა ბაწარზე ვავლა სურდა... და კიდევ ის-კუბა.

— აა, შენ აღელვებით ლაპარაკობ. ახლა გიცი რაც გაკლია.

5. ლორთქიფანიძე



მ თ ა ბ ე ქ დ ი ლ ე მ ა ნ ი

(ლოისესის ლექციების გამო)

დრმა ინდივიდუალიზმა, მისწრაფება ზარბაზნების შესწავლისაკენ, უოველივე ავტორიტეტის გავლენისა და რუტინისაკენ გათავისუფლების ცხოველი სურველი—აი მოტრინი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისა. რამ დაბად ასეთი განხეთქილება კოლექტივსა და ინდივიდუუმს შორის, ასეთი სიმკვდრო-სისიცოცხლო ბრძოლა განებასა და სულის შორის, რამ აიძულა ადამიანი უარყოფს თანამედროვე სოციალური არსებობის თვარმანი და სსო-ებით სავსე თვადი მიეპურის თავისუფალ ზარბაზნების აღთქმულ ქვეყნისათვის? ამ სანტიტრესო გათხვის აღსნსა გავგაადვალეს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ევოლიუციის განხილვა. უოველი ეპოქის

ლიტერატურა მჭიდროდ დაკავშირებული უოფიდა ცხოვრებისა; მას აუღრია თანამედროვე სსოციალუბის გულის ნადები, განზრახვანი, სურვილი, მისწრაფება; მას შეუდგენია ჯამი ადამიანის დაურსრულბულ წამების, ტანჯვის. მას მიუგრაფიება ადამიანის ცრემლები და დრმა სულის ნდველად კადექტევი. გარნ ეს ტელსილი ნდველი ცხოვრების მწესრისა არსოდეს არ აძლევდა ადამიანს სსოწარგვეთილების უფლებს, არ ჰქონდა ადამიანს ზნეობრივი უფლებს უიშელობის წყვიდადში ტატარების თავისი უეგრული ცხოვრება, ვინაიდან მთელი საუყუნობის განმავლობაში იტვლებოდა, ფალობებოდა ადამიანის ტანება; სმაქრობის საიდუმლოებათ ეხდებოდა რადე და მეცნიერება მიუძღვნიდა კაცობრიობას სოღირი, ზნეობრივი და გონებრივი განახლების გეგმს. მაგრამ დაჰქრა სათამა! სოფრანგეთს და სოფრანგეთიდან მთელ ევროპას გადაეფარა რეფოლიუციის წითელი აჩრდილი და ჩქარა ეს აჩრდილი კარდაქტ მრისსახე ჰამიშხლად. ინგრედა ძეელი, შენდებოდა ბუნდოზანი ახალი... წყურვილს დამორგუნველს, წყურვილს შემოქმედიბის ვერარა აკამოფილებდა: უოველივე ახალი თვის სთავებზე დაფუდა სელს. აშკარადებოდა გონების უძღურება ადამიანის განახლებილის როლში. აშკარადებოდა ამ ტანების მიერ ნაშობი მეცნიერების უძღურება უცნეველ, გარდუვად კანხების მოკარნახის როლში. ძეელი დოგმატები, ძეელი ჰეშმარიტება კარგუდა ძაღს: ადამიანის მიერ კადმურთებული კერძები უსსრულში სცვიოდა... ბუნდოზანდ გრძობდა ადამიანი, რამ მისი სული მისწრაფიდა რადე უცხო, განუზომელ სოვრისაკენ. აშკარად გრძობდა ადამიანი, რამ მის და ამ უნობ სოვრის შუა ძეეს ჩვენი ჰვარტლიანი უოველდლოური ცხოვრება თავის სიდრეთთა და ზომთხეობით. გამიფდა წყვილი, წყვილი სსინე-ლი... სდათას ძაღს მიეცა ტანება... გამიფებულ წყვილიდას შუს თონზე მხოლოდ სსი მიეუტავი ტეცხლიდა მისნს. მხოლოდ ეს კანდელნიდა ამტიკეებზე ადამიანის არსებობას და ამ არსებობის გამხსტულებას. ვერტერი გიოტესი, რეე მტობრინისა და ჩაილდჰარლდი ბაირონის—აი, ეს სსი მიეუტავი ტეცხლი. ევლას ამთ აიანსეს თანამედროვე კულტურისა, ცივილიზაციის უვარგისობა, სიდრეე. ევლას ამთ განიდაღეს მძღვანი სულიერი ტრანგედა. სოლო თათოეულმა მათგანმა გამონახა განსუთრებული სსუალებს თავის სეღისა და უიშელობის დასთრგუნვად. ვერტერმა მათობა ქადა-



ქის ცივილიზაცია. იგი განმორდა ორზერ ადამიან-  
თა სრფავს და თავი შეაფარა სოფლის ხელუხლე-  
ბელ წმინდა ბუნებას. რენე უარყო ადამიანის-მიერ  
შექმნილი ცივილიზაცია. მან დასწვევლა კაცობრიო-  
ბის ბუღი და ველურ ხალხში ჰქვა მშობლი სავო-  
სიუიუღლი. ჩაიღღ-ჭრადღღმე მანება თავი თანამეღ-  
როვე ადამიანს, სსოგადღობოვე ტრადიციებს, აზ-  
რის მინბბას, დასუღობას. მან მასურა ზდაზრულ  
ადმოსავლეთს. მას აცნობეღებდა იმეღი, რომ იქ  
ჰბობებდა ადამიანის კულტურის აკანს, სსიბრეველს...

ღროთა ბრუნებამ დაგვიანღვრა ეს კანღლები და  
მით ცოტათი მანღ შეასურსა გამეფეღული წვეღი-  
აღი. გაზობეღლის ამომავალი მზის შუქზე ხვეწ  
კსეღდავთ, რომ რენე გადაქეღულა ღონ-ჟუნაღ, ად-  
მანის ბეღის წევეა გადაქეღულა კაცობრიობისღმი  
გამოთუქეღ მსულავრებღღ. ჩაიღღ-ჭრადღღს უბ-  
ვია თავსეღფარი ადამ მიღევეღიხის სსმბბღბოსა და  
კაცობრიობისღმი განუსზღვრეღ სიევერულში. ხო-  
ლო ვერტერის მემეღდრენი დაბრუნებთან მეცნიე-  
რებს, შუეუენათ მისიფის ახღი ეღევერო. ასე  
თუ ისე ადამიანი „სქამინაბღღ“. ძღიერღბობდა  
ბრძღლის სურეღი, დაღვრეღვის დაღშეენების  
წეურეღი...

განსღღა ბრძღლა. 48 წ. ამფარღნიღი ქარი-  
შსღი მიწასთან გასწორებს უზირებღა წევეღ ქეღე-  
ჯანს. სევერბობით შუეთიბნიღი ბიწიერება უკას-  
კნეღდა ებობინებღდა ადამიანს თავის გაძვღღ-ტეფე-  
ბულ ხეღებით. ხოლო ვინ იფიქრებღდა, რომ ეს  
ადამიანის უკანსკნეულ ბრძღლის კეღინა კი არ იეღ,  
არამეღ სეფრანგეთის რეფოღიუენის შეღღღმის ნსშ-  
თინ ღაფეღეღენ სულს? და რომ ამ ნსშთის სევეღღ-  
თან ერთად კეღებღდა ძეღღი ვერბზან? ვინ მთი-  
ფიქრებღდა, რომ ეს სევეღღი ძეღღის ევრბზის  
კანბიერე იეღ; რომ „**ძღლა დამბრღუნეღლი**  
**იმევე ღროს არის ძღლა აღმშენებელი?**...“

ადამიანის ბეღის-წეენის ცემ გამოადრღ. გამე-  
შა მფარის შუქმა ვერ დაფარა ორი ახღი ვასევეღ-  
ფის, ფერღინანღ ღასღლისა და ფრღდრის ნიღშენ  
მფაღბინება. თუ აქამღის იწეღებღდა ადამიანის  
გობება, რომეღიღ უნღა დამბრღებოღიეღ, ფერ.  
ღასღლის მიმღღრებამ გამოსკეღდა კოღღექტორი  
სურეღი, ნებ. ადამიანის გულის სიღრმიადან იღე-  
ღა ღასღლი იღეებს და სტეორენიღა მთი დაუსრე-  
ღებულ სამეარბის სეფრეღმა. მას ადამიანის სულღ  
და გობება ჰქონღდა თავის იღეათა ბზისაღ.

ხოლო ნიღშენ გაბეღული აზრი, მისი არა-აღა-  
მანური მსულავრება თანამღღროვე კულტურისაღმი,

მისი ზესთაბუნებობივი სარკაზმი, მისი ცენების ნა-  
ვარღი უნიადღეო იეღ: არ იღი, რამ წარმობობა ეს  
გაბეღული მიმღღრება და ზორბასტრის ზირბუნება!..  
„**მისი აზრი მომავღბებს მებს მძეინვარებს,**  
**ენთის უფსკრულიღან მეორე უფსკრულიბ-**  
**კენ გავარღნიღღს!**...“ გრბობა მსოღღლო, რომ ნიღ-  
შემ უარყო კოღღექტოვი და კავღმერთა მსღღერი,  
თავისუფეღი, ზესთაბუნებობივი ზირბუნება.

**პეტრე იუნკერი**

(შემღევი იქნება)

**მღღღარი და ღარიბი**

ეს მღღღარი უმღღლო,  
საცა ნახავ— შემოგჩივღლებს,  
ღარიბი-კი უმქღლო—  
მშია, მშია!— შემოგქციეღლებს,  
მღღღარს, მღღა რო მონახოს,  
უნღა ჰავა, სეირნობა;  
ღარიბს, მღღა რო დამარბოს,  
უნღა გარჯა, მუშობა.  
არ ვიცი, რა კანონია,  
რა რივი და რა წესი?!  
მე თუ მკითხავთ, კი გოღრნია:  
ვისაც რამე უთესინ,  
ჰატრონია კი მღღის,  
ღირსიღ არის ღლეკმა მქღღის,  
ვინც კი ეძებს მუღამ მღღს,  
ის არც უნღა ქამღეს ქღღას!...

თობა პუსა

**ვეღღენი მგოსანს**

**ა კ ა კ ს**

(თბიღისში დაბრუნების გავო)  
მოღი, მსტოვანო მგოსანო,  
ეკოღღ გეშღლე აღამი,  
მოგვიბმბატბიღი, გეასინე  
ღვისიგან ნაკურბთხი სღღიამი!..

რომ ჩვენს მიღამოს ხრიოკსა,  
ეპტურის წეფარი ანკარა,  
უწულოღ ვაღამბმარ ქევეყანას  
ღხენით უმღღრეღ წუნარწყუნარა.  
სიბერემ „ჩაიგაკეღნა“,  
შემოგეპარა ქღღარა,—  
მეგრამ არ შეღრკე მინღს სტემს  
შენი „ღაღი და ნაღარა“!..

გ. შინიანცი

# შანტეკლერ

(განთიადის მომღერალი)

პიესა 4 მოქმედებად, ლექსად, **ამჟამად როსტანისა**  
**მ ო ქ მ ე დ ნ ი:**

შანტეკლერ (შავი მამალი)	კატა	
პატუ (ძალი)	მამალი ინდაური	
შაშვი	იხვი	
ფარშევანგი	ინდაურის ქუცი	
ბულბული	ხოხობი (დედალი)	
ქობი	ციცირი	
ბუ	თეთრი	ც
კინო	მტრედის ფერი	ი
მებრძოლი მამალი	შავი	ო
მონადირე ძალი	ყვითელი	ნ
ფოსტის მტრედი	ქოჩრიანი	ე
კოდალა	ბებერი	ო

მამალი ბატი, ყვერული, ვარიკები, მამლა-ყინწა, სამი წიწილა, გედი, მამალი კაქ-კაქი, გუგული, ღამურა, მამლები, გომბეშოები, დედალი ინდაური, დედალი ბატი, თხუნელა, „სლაჟკა“, ობობა, აკაური, მტრედი, ზღვის ღორი, შინაური პირუტყვები ფრინველთ შესანახის ქოხისა, ტყის ნადირები, კურდღლები, ფრინველნი, ფუტარები, კრაზანები, კრიკინები.

### შესავალი

(გარკვეული რაკუნი მოისმის საშვერ, ფარდა შეინძრევა და მაღლა იწევა, ამ დროს დარბაზში ისმის ხმა-მალად ყვირილი: „მოიცადეთ“ და თეატრის დირექტორი სავარძელიდან ორკესტრისაკენ გაქანება, ის წარმოსადგე კაცია, შავად ჩაცმული. რამასთან მიიბრუნს და იმეორებს „ჯერ დრო არ არის“. ფარდა კვლავ დგმება. დირექტორი ხალხისკენ მიბრუნდება, ხელით დაეყრდნობა სუფლიორის უჯრას და ამბობს):

**დირ.** შეჩერდეს ფარდა... ოჰ, ერთი წამიც, ჯერ დრო არ არის, რომ აიხადოს. გულს ყური ვუგდოთ: იგი მძლავრად ძგერს საიღუმლოთ წინ იქ, შორი ახლოს...

(უჩვენებს ფარდაზე)

რა რიგად მწველი ღელვა ავითრანს, თვალს დაგიბნელებს და სისხლს ავგიმდრევს, ოდესაც ვისმენთ იღუმალს ჩოჩქალს, მაგრამ კი ფარდა მაღლა არ იწევს. გთხოვთ ნახის ზღაპრით ღრმად განიმსჯელოთ და სმენით მისწვდეთ, რაც თქვენ აქ ნახოთ. (სენსაზე ხმაურბაჟა, დირექტორი დაიხრება და უყრს უგაქსს)

აგერ ფეხის ხმა. ფარფატი ფრთისა... ეს გზა იქნება, ანუ ბაღნარი. (ფარდა შეინძრევა. დირექტორი ყვირის) განა არ გეცმით, ნუ ასწევთ მეთქი... (კვლავ დაიხრება და უყრს მოუვლებს ხმებს, რომელიც სენსიდან მოასმის)

ჩხავილით მიჰფრენს... კაქკაქი არი. ჰო, ეს ეზოა... მეუფე ველთა: ძალთ ყევა ისმის და ხმა ხალხისა, თვალწინ გადგიშლით ნელ-ნელა სურათს, ხმებით შესდგება დღე სიცოცხლისა. ზარის წკრიალი იქ, სადღაც ჩავდა. მუნ სძოვს ციკანი... ბუჩქიც იქნება, ხისა ფოთლებში გულ-წითელა ჰმდერს, სწყურია შგება, თავისუფლება.

აგერ იქ მოსჩანს წნელის გალია: შაშვი ქახახებებს ჩვეულებრივად... დანჯღრეულ ეტლის და წყლისა ქურქლის მძიმე რახრახი ისმის რიგ-რიგად.

ფუტქში ვართ თუ სოფლის წისქვილში: აფქო რა რიგ ბრუნავს, ქრიანობს... ეს ფარდულია. ანუ თავლაა.

ფლარუნი ისმის... ჩალა შრიანობს. კრიკინა მხოლოდ—ტურფა დღე არის, წკრიალა ზარი—დღესასწაული...

აქ სადმე ახლო ტყე უნდა იყოს: ორი ბუ ჰკივის გამაღებელი.

ჯაღო ბუნება სხივოსან დღესა ჰქმნის ღვთიურ-ნახსა და უცხო ხმებსა და სიმფონიას სივრცეში შობილს,

მსუბუქ ღრუბლისგან, ქარისგან ქსოვილს. კარს და ფანჯარას ვიღაც ადებს, ცხენის ეყვანი ოღნავ ყლარუნებს.

გლვით კარ-მიდამო თვალწინ მიდგება: ძალი სთვლემს... კატა მზის გულზე თბება... კვირა დღე არი... დიასახლისი

დღესასწაულზე მიეშურება. (ფარდას უკან ისმის ცხენის ფეხის ბრახუნი და ვიდანის მოუხეშავი ხმა)

ოჰ... ოჰ... ლეგავ!

**მეორე ხმა** (ვიღაც შეგვიანებულს ეძახის) ჩქარა!

- დღეს დაგბრუნდებით უთოოდ გვიან. **მოუთმენელი ხმა** მზადა ხარ შენა? **მეორე ხმა** მკიდროდ დახურე ფანჯრის დარბაზ.

ქალის ხმა ჩემი ქოლგა.

კაცის ხმა ოჰ... ოჰ...

(მათხახის ტყავები ასმის)

ღირ. ეტლის ხმა კვდება, შორის სხვა ჰანგს ერთვის...

ქუჩაში შესწყდა სიღერა, სტენა, ეზოში მხოლოდ სიჩუმე სუფევს. ახლა პიესა დავიწყეთ ჩვენა.

მაღბრანში იტყოდა აუცილებლად: ძე ხორციელი აქ აღარ არი.

ჩვენ, თავმდაბალნი ამას ვფიქრობთ:

კვლად ანთია გრძნობათ ლამაზარი.

ხალხს ხომ ცხოვრება არ მიაქვს თანა,

იგი მულამ დულს და არა ქნება.

მარტო კაცთ ტომის ხვედრი როდია სიხარული და ტანჯვა-ვაება.

კაცთა გარეშეც არსებობს ვნება,

შვება, ტკივილი და ბოროტება.

(ეჟერს უგაგებს)

კრაზანა ბზუის, ისევ გაიშუღა

და ნახსა ყვავილს გულს ეკონება,

ღროა დავუწყით. იქ, ფარდის უკან,

სუყველაფერი რიგზე იქნება.

(უძახის ზემოთ) ჰე, ალექსანდრე!

(ხალხს) მემანქანეა, —

(გაგლეჯ ზემოთ ეფერის) ყველა მზად არი?

(სტენიდან) დიახ, მზად არი.

ღირექტორი ამა სცენასა და თქვენსა შორის

ფარდად აღეპართეთ მიწა ნათელი.

ის მოგაჩვენებთ ერთსა ათასად,

ეს თვისება აქვს გასაკვირველი.

ჩუ... დე აღინთოს სანათურები.

სიჩუმე არის, დიდხანია.

ღირექტორისა ბრძანებით უკვე

კუთხეში ჩაძვრა ჯუჯუკალია.

ფრ... რუ... კვლავ გადმოხტა იგივე კრაზანა,

ღირექტორი აღესილი და დატვირთული.

იქვე ქათამი ნელად კაკანებს...

სადაღაც იძახის, სტირის გუგული.

დაე, მარბაზში ჩაჰქრეს სინათლე,

ბოლო მოეღოს აქ ხმაურობას.

დახუთ, ტყის ქოტი მკვეთრის ძახილით

ჩვენ გვატყობინებს ახლავ დაწყობას.

სმენად იქვეცით! უცხო სიზმრები

ბუნებას მოაქვს... ხმა ისმის აგერ.

ჩუთ... აიწიოს ფარდამ, დრო არის:

— მწვანე კოდალამ დარეკა სამჯერ!

(ფარდა აიწვევს)

ა. შანშიაშვილი

რ. ბებიაშვილი

### ღიღი მარხვანა?!

ღიღი მარხვანა? ვითომ? დავიჯეროთ?!

არა, დიდმა მარხვანა უკვე განვლო!..

ღიღი, განვლო!!

გათავდა სეზონი თეატრებისა! დაიკეტა

ტაძარი ხელოვნებისა, უტყუარი სარკე ცხოვ-

რებისა!.. ამ ტაძარის ამბიონიდან ხმა მაღლა

მოგვიწოდებდნენ გულის განსპეტაკებისა და

ცხოვრების განსახლებლად, მაგრამ შიშით

გავურბოდით მას, სინდისი გვეღვიძებოდა,

გვექნჯინდა!.. გვეშინოდა ამ სარკეში ჩახედვისა,

რომ ჩვენი საზოგადოარი სახე, ლაფში მოსვ-

რილი ბოროტი სული არ დაგვენახა!..

გავურბოდით ამ ტაძარს!.. ისევ სინდის-

გაუღვიძებლად, უტყურებლად დარჩენას ვრჩე-

ობდით, როდგან ჩვენი სულიერ - ხორციელი

იარების მოშორება არ შეგვეძლოა...

არ გვინდა წმინდა სუფთა ჰაერით ვისუნთ-

ქოთ, შეჩვეულნი ვართ მყარად, მოშამულ

ჰაერის ყნოსვას და უამისოდ სიციცხლე ვერ

წარმოგვიღვინა!..

ამიტომაც ხელოვნების ტაძარში წაუსვლე-

ლობას ვარჩევდით და უნაშუსოდ თავს ვიშარბუ-

ლებდით: „კარგი არაფერია, ფულიც არ მოგვე-

ძვევია!.. ცხოვრება გვიძნელებდა!..“ ამ ღროს-კი

მანათობით, თუმცა ვხარჯავდით, რომ ზი-

ზილ-პიზილი ტანთ-საცმელი ჩავვიცვა!.. სენ-

მოდებული სახე გაგველამაზებინა, ფერ-ღმარო-

ლითა და ნაირ-ნაირი სურნელებით!.. ზედ

ჩამოგვეკანტურებინა ბრჭყეილა ნივთები, ძვირ-

ფასი ნაქსოვები, და შიშველა ტანი გვეჩვენე-

ბინა!!

ხელოვნების ტაძარს გავურბოდით და

ცირკსა, კლუბებსა, პროექტორებში ვაგრობო-

დით, რომ იქ თავ-დავიწყებას მივცემოდით...

რესტორანებსა და სარდაფებში ღვინით გონებს

ვიბნელებდით, რომ სინდისი არ გავგვღვიძე-

ბოდა...

ღიღი მარხვანა დადგა, და ჩვენ უგულოდ,

ზანტად, ძალდატანებით ეკლესიაში მივლულულე-

ლებთ, რათა „გამოვიხსნილოთ“ ჩვენი დანაშაუ-

ლი, ცოდვები, სულიერ - ხორციელად განვიწ-

მინდეთ და ვითომდა აღდგომას, განსპეტაკებუ-

ლი, ცხოვრების ქუჩისკან განწმენილი ნათელ-

სულით, სუფთა გულით მივგვებოთ!

აღამიანო! ნუთუ ვერ ამჩნევ რომ აქაც

თვალთმაქცობა?.. რწმენას დალატობ, ფლი-

დობ, აზროვნებით ფარისცველო!!

გიორგი ფოცხოველი

ქართული თეატრალური მწერლობი

ქართული თეატრის ისტორია XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება. მასზე სთავაზრობა ზაქარია სეფრეძის 1790 წ. დავით ავალიშვილმა, კერძობის განათლების და რუსული ენის კარგად მცოდნე, რუსულის ენადამ ქართულს ენაზე სთარგმნა შემდეგი კომედიები: „რქის მატარებელი“ — „როგონისკე“. 1791 წ. ეს ზაქარია წარმოადგინეს თბილისში. „დელარაყის ქალისა“, თარგმანი, იმავე დროს წარმოადგინეს 1792 წ. რადენჯერმე. სმ - მოქმედებებიანი კომედიები: — „სახეუბარი“, წარმოადგინეს 1792 წ. ორ მოქმედებებიანი კომედიები: — „ძვირი და უხვი“, წარმოადგინებია იმავე დროს და ორ-მოქმედებებიანი „უბნობა მკვლარისა“. ეგვიპტის სთარგმნა დავით ავალიშვილმა.

დრამა, თუ ტრეგედია: — „მეფე თეიმურაზი“ ძველ მიწათმფლობელთა ზიანის გარდამტეხებით. ზირველად მე დაჯასსევე 1877 წ. გაზეთ „დროება“-ში. ეს ზაქარია მე არ მინახავს, რაც მოყოფისევე მასზე ამ ზაქარია შესახებ, ვაზ. „დროება“-ში, იგივე მითხრობდა იყო ერთი ქართული მიწათმფლობელისაგან, რომელსაც ერთ დროს ამის ხელისწევრიც წაეკითხა, ასე 1830 წელს, მეტი ეს ხელისწევრი დაჯარეულა. რაც ამ ზაქარია შინაარსის შესახებ ვიცით რამე, უკვლავ ივანი მითხრობდა სხენეულის მიწათმფლობელ ზირთაგან და 1850 წლის ქართულის თეატრის მსახიობთაგან. ასეთი იყო ჩემი კარგი მცნობი 1850 წ. მსახიობი ელიოზოვი და ბერძენოვი, ორივე „ცისკარში“ სწორდენ და ამ ზაქარია დაჯარევის ცნობებიც იცოდენ. შეიძლება ეს ზაქარია სდამე აღმოჩნდეს. ამავე დროს, ასე 1795 წ. მდივანბეგს დავით ჩოლოყაშვილის რუსულის ენადამ უთარგმნა ტრეგედია: — „ფილინია“. თარგმანის ხელისწევრზე მიწერილია შემდეგი:

„მათის უმაღლესობის მეფობის, დიდებულის, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევად; ებოხასასა მეფობასა მისისასა **56** წელსა შემდგომად მახოვარისა ჩვენისა **ჩღუბ**, 1795 წ. თვეს მარტსა გ. ვ. თქმული მდივანბეგის თავადის დავით ჩოლოყაშვილისაგან“. თვით ეს ზაქარია მთავსებელი აქვს პროფესორს ად. ცაგარელს თავის ნაწერებს ქართული სიტყვებების შეთანხმებაში, რუსულს, ენაზე დაწერილს და დაბეჭდილს ზეტარეურგს, 1881 წ. თვით ძველი დღესი აქვს დასტამბული,

ეს „ეფილინია“ იმ დროს წარმოადგინეს თუ არა, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით.

დავით ავალიშვილის ზირველის წარმოდგენისთვის ლექსიც დაწერია, წარმოდგენის შემდეგ ეს ლექსი წაუთხოვს კადეტ. აი თვით ლექსიც:

„მე სახელგეღნი იგ ჩემნი დავაზრე წოინთა წირითა, ზოგი ჩემი მოქმედებაზე, ზოგი სხვით გადმოწერითა, მსმენელთ ვეგდრებ, ნუ მკიცხვენ, ამა ლექსისა მღერითა—;

არ დამიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვისახურე, მე რითა? თუ ხართ ენმემომსურენი, თითატრს სმენად, ანუ ცნობად...

შეიმატებ განდილებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად. ერილებით უსამართლოდ, ჩემებრ მწერთა ცუდათ გმობად, არ დამიშლით, ჰგავს არ რილებთ თქვენგან გლახგულ ლახვარსობად!

მერწმუნენით არ მას ეუბნობ, მქონდეს მერტი მისენ ვრობად, მაგრამ მწადის განჩინება კიცხვითა და ქვე-ქვე ძრობა... ნუ იკარებთ გაცხარებით იქნოით ჩემზე წყრობა, დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრობა...“

საქართველოში ზირველ წარმოდგენის ზირველად წარმოქმნილი ლექსი ეს არის.

მასხადამე აქედამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული თეატრის დაარსება, ასე თამაშობის შემოდება 1850 წ. კი არ ეკუთვნის, არამედ ქართველთა მეფეთა დროს, 1791 წ. ეს ასე გახლავთ. თვით ზაქარია, ლექსები და ისტორიული ცნობებიც ასე აჩვენს, ასე მიწმობს. ამის შემდეგ ვისცნო ოგორ სურდეს, ასე განსჯოს ქართული თეატრის ისტორია, ჩვენ დავს არ ავუტკივთ.

იმ დროის წარმოდგენები უმართავთ თბილისს, გორს და თელავს. თეატრის შენობა და ყოველთავე სთავაზრობა საქმენი, იმდროის კავალდ მოქმედა ვინ-მე თბილელ განბრეულ მაიორს, რუსეთში ყოფილს და ნამსახურს, მეტი საქართველოში დაბრუნებულს და თბილისს, გორს და თელავს უცხოვრას. მასზე, როგორც ჩანს, წარმოდგენები უნდა ემართათ 1795 წლამდე, მეტი აღარ, რადგანც 1795 წ. თფილისის ახორების დროს, ახორდებოდა თვით იმ დროის თეატრიც. ომში თვით ეს განბრეულ მაიორიც 1795 წ. თბილისის ახორების თაყვად, როგორც შეამარი მხედარი, ზირის-ზირ ცხარე ბრძოლის დროს, სულ ნაკუწ-ნაკუწ იქნა დაჭრილი. ამის ამბავი მოხსენებულია თბილისის აკადემიის ისტორიაში. იქ დაწერილებით ამის ვიხიბთ არა სხნს.

გაბრიელ მაიორს თეატრის ფასი ერთობ მეტად ჰქონია დანაშნული, ბილეთი თურმე ორი შაური ყოფილა. შეიძლება ეს ორ—შურანის დაბალი ფასის ეფ და მალაღი ფასის სხეუმი განხლდეთ, ვინ ფასის, ეოველივე შეიძლება, ხოლო ჩვენს დრომდის მარტად ორ შურანსმ ბილეთის მთადწია. ბილეთი ჰატრას ზომისა არის, თეთრს უბრალო ქადაღზე დაბეჭდილი და თითქმის ლექსად მიწერილია ასე: — „შაური ორი — გაბრიელ მიორი“. ესე იგი ბილეთი ორი შაური.

ამ ორ შურანს ბილეთების რაგვინებე ცალი ჰქონია აღქმანდრე ორბუღანს, შევე ერეკლეს ქალის, თეკლეს შიღის, ჩვენის ზოტის ფსტ. ორბუღანის ძის, დამყურს დრამუბისას: — „ბატონიშვილის ირაკლის ზირველის დრამა და „დავით აღმაშენებლის“, ჩემგან დაბეჭდილების ცალკე წიგნებად. ამავე ბილეთების ერთი ცალი შემთავლებით სწერა რუსულს ენაზე 1855 წელს რუსულ გაზ. „კავკასში“ ცნობილს საქართველოს ისტორიულის წერილებს მწერალმა ნიკოლოზ ბერძენავამ; ამანც ისაუბრა იქ, რომ ქართველობას საქართველოში ქართული წარმოდგენები 1850 წელზე ბევრად ადრე ჰქონიათ. ამან ეს ძველი ბილეთებიც დაბეჭდა იმ რუსულს წერილში ქართულის ასოებით.

მეც ამის ამავე შემთავლებით მოვიფიქრე აქ, რათა მით ადგეს ისტორიული სიმართლე და ტკუშმარტება. შეიძლება ასეთის ცნობების ძიებით ჩვენის კულტურის ისტორიის წინაშე ცოტა იქით წავიდეთ, მით სხვა სხელი მთავრობა თუნდ ამ საქმის მხრით. ჩვენში თუ ამ გარემოებას უურადლებას მიაქცევდნ და ძიებას დაიწყებენ, მაშინ იმედი, რომ XVIII სუგ. თეატრალური ზიესების მწერალთა ცხოვრების ცნობებიც აღმოჩნდეს. დავით ავალიშვილისაგან ნათარტმნი ზიესების რამდენიმე ხელნაწერი ინახება „წერაკითხვის სამართულოს სპეციალურში“. ნახონ ეს წიგნები და ამავე დარწმუნებთან, რომ ეს ასე განხვავდნ

სხვა ტომის ერნი ასეთ ცნობებს ორის ხელთ ებღაუბებთან და ჩვენ-გი ეოველივეს ვგარგავთ. არ ვიცით, რათ მოგვიდეს ეს და რით, ემსობოლიტობით, თუ ისტორიის უმეცრებით, იმედი, რომ თუ ცდა იქნას მიღებული, მაშინ ცნობებიც გამოჩნდება, შევიტუბობთ თუ ან გაბრიელ მაიორი ვინ იყო, როგორ და რა გვარად მართავდა იგი 1790 წლიდან თეატრს და სხვანი. ამის ცნობებიც არის

დაშთენილი, რომ ამ გაბრიელ მაიორს თეატრის გარდა რაღაც ცირკის სხვენებელი სჯამაზოც ჰქონია გამართული, სდაც თურმე „დაბადების“ ისტორიადმი სხვა და სხვა ძველს სურათებს უხვენებდა. ნ. ბერძენავა „კავკას“-ში იმასაც სწერს, რომ გაბრიელ მაიორს ვითამც თვით ზიესებიც ჰქონდა „დაბადების“ მსახარსიდან დაწერილები, რომელთაც ადგენდა ხელმოქ.

ძველ მწიგნობარ კაცთაგან მოთხრობილია შემდეგი ამბავიც: 1799 წლის წარმოდგენებში თურმე ერთი შედექსე მღვდელიც იღებდა მონაწილეობას და სცენაზე გამოდიოდა. ეს ამბავი შეუტრევია დისიოტის ეპისკოპოსს, მერე ამან მღვდლისთვის სცენაზეც კასვლა, თამაშობა აუკრძალავს. ამაზე მღვდელს და მღვდელმთავარს ჩხუბიც მისვლილია, მერე თურმე ერთმანეთს ლექსებით ზოღებოკასაც უწევდნ. ამამა კამამა მე XIX სუგ. ადე კასტრანს თურმე. ეპისკოპოსის ერთის ლექსის სჯამსოცდ მოთამაშე მღვდელს ეს ლექსი დაუწერია.

„დისიოტის არქიერი ბოლოს,  
 ვინ იქნება იმას დაეტოლოს?  
 მიწროს წვა, დაკრთევა-ბევრ ლოლოს;—  
 თნდშია დაპარავს კარგ ლოლოს...  
 ემის წირვის ვადაიხის ქაბასა,  
 წინ ვაიმძღვინს დოკენსა სჯამსა.  
 მე დამიზლის შესვლას პალატასა,  
 თვით-გი მუღმიე მოიღოს ავლაბარსა“.

ზალატას თურმე მაშინ თეატრს ეძახდენ, ზოგნი სჯამაზოც. ეს ლექსი და სხვა და სხვა ცნობები მე დაუწერე 1877 წ. ორბუღანთან ერთის მთურავისაგან, რომელსაც სარდალანთ მთურავს უწოდებდნ. ეს კაცი მწიგნობარი იყო. ჰქონდა ბევრი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი და ძველი თეატრის და წარმოდგენების შესახებაც ბევრ რამ ამბები იცოდა. იტყოდა ხოლმე, რომ მაშინ აღეს თეატრში თვით ჩვენს ზამა ოსებე მღვდელი ამერძექ იღებდა მონაწილეობასო. ეს მღვდელი ლექსებსაც სწერდა. მასთან კი მოთამაშეც ყოფილა, რის გამო ქართველნი და სჯარნი თურმე „ქეშიმ დარდიმანდს“ უწოდებდნ.

ქართულ მწიგნობარში სიტუკვა მსხიობი, დავი ავალიშვილის ზიესების წავითხვის შემდეგ, 1877 წ. გაცით „დროკაპში“ ზირველად მე ვინმარე, თორემ მანმდის მსხიობას ქართველები—მოთამაშეს უხმობდნ, ანუ აქტიობას და აქტიონის. ამ დავით ავალიშვილის ძველს ხელნაწერს ზიესებში ბევრი სხვა ასეთი თეატრალური ტერმინები მოაბო-

კება. იქ თამაშობს, — მოახსენებს: „ვსახიე, ვასახისმეტყველო“, და სხვა ასეთს.

დავით ავღიშავილი აღიხარდა რუსეთში, მიიღო სამხედრო სწავლა. მერე სამსახურშია იყო. ამის ზედმეტდევლობით იზრდებოდა და სწავლობდა დავით ბატონიშვილი, გიორგი მეფის შვილი, შემდეგდრე გიორგი მეფის შემდეგ სამეფო ტახტისა. დავით ავღიშავის თბილისში მოსვლის დრო მიწევრება 1785 წ. იგი დაახლოვებული ჰიდა იყო მეფე ერეკლესთან და მისხურებად მეფისავე შედგენილს მორიგ ჯარის გცთო შორის და იწოდებოდა არტილერისტად. ამ დავით ავღიშავის ზემოხსენებულ შიესებს კარდა სხვა და სხვა ზიესებიც უთარგმნია, ზოგი თვით უწერია, სცადნია მრავლად ლექსების წერაც. ზოგმა მისმა ნაწერმა და თარგმანმა ჩვენს დრომდისც მოაღწია.

**ზ. კიკინაძე**

**სპარსეთის თეატრი**

შეიქრა სხივი განათლებისა თერანში. ააფორილა დროშა ხელოვნებამ — დაარსდა თეატრი.

დღემდის სპარსეთში, კინემატოგრაფს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ არსებობდა გასართობი, და თეატრი ხომ სულ უცნაური იყო სპარსთათვის. მხოლოდ ერთი ჰქონდათ გასართობი. ეს იყო „თადიები“. ამ „თადიებზე“ ხალხი ჰხედავდა შიიტების უძველესს კერებს, მაჰმადის შვილების ჰუსეინისა და ალის წამებას.

აი „თადიების“ მოწყობილება: დიდ მინდორზე შეიკრიფებოდა ხალხი და აქვე მოზარდებობდა შაჰი სპარსეთისა. დაუკრავდა მუსიკა, ასტყდებოდა ბრძოლა შიიტებსა და სუნიტებს შორის. მაყურებელი ხალხი-კი ცრემლად იღვრებოდა. ყოფილა რწმენა, რომ ვინც ამ დროს ბევრს იტირებს თურმე, სამოთხის კარი ჰირდაპირ ღია დაჰხვდება საიქიოსო, სადაც ბევრი ცოლები ეყარება და ფლავი ხომ თავსაყრელი ექნებაო!

მაგრამ გაჩნდა უტბად ვარსკვლავი ამ წყვილად ქვეყანაში, რომელმაც კისრად იღო მეტად მძივი, მაგრამ დაუფასებელი, ძვირფასი საქმე. ეს აღამიანი გახლავთ მსახიობქალი არმენ ტერ-ოჰანიანი, რომელიც თამაშობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში, ოპერებში. ამ

ქალს რადენიმე თანაშემწე მეგობარი ჰყავს და მათთან ერთად დაუწყვია პიესების გადათარგმნა სპარსულად. პირველ წარმოდგენისათვის დაუნიშნავს შილოტერის „ყაჩაღები“.

იმედია, განათლება მალე აყვავებს ისტორიულად ძველს, მაგრამ გაუნათლებელს სპარსეთს და არ შეგვიძლიან მხურვალე გულით არ ვუსურვოთ ახალგაზრდა მსახიობქალს არმენ ტერ-ოჰანიანს გამარჯვება ამ ყოველდღიურ წმინდა საქმეში.

**მერცხალი**



**ფირდის ზოკანი**

დასადაბიანს ახი წლის შესრულების გამო

**ფირდის ზოკანი**

ასი წელიწადია, რაც დაიბადა გამოჩენილი კომპოზიტორი ფირდის ზოკანი.

იგი ერთი უნაქიერესი მუსიკოსთაგანია და ისეთი მრავალმხრივი, რომ ძალაუნებურად იბყრობს ყველას ყურადღებას.

შ-ნი ამავე დროს დიდებული მსახიობიც იყო. წარმტაცი და მომზიბლავია მისი მუსიკა, რომელიც ნაყოფია თვით ტანჯვისა და მწუხარებისა, მის სულის კეთებისა და მისწრაფებისა, უმანკო შეუქმნიველი გრძნობით არის გამსჭვალული და გამოზარი.

მუსიკა ნაზი, ალერსიანი და ტკილ-მტანჯავი კვნესა სიყვარულისა; მას არ უყვარს ქვეა-ტუხილი; ბრძოლა და აღშფოთება; იგი მათგან სრულიად დაშორებულია და განდევნილი.

შ-ის სული ძლიერია, ხოლო ნაზი და წყნარი, როგორც ქალწულის ცრემლი; იგი მომზიბლავად და წარმტაცად ღლინებს უმანკო სიყვარულს. ეს მუსიკა გაზაფხულის ყუყუნა წვიმასა ჰგავს, რომელიც ხან აღონებს

გულს და ხან იფონებს. ამ მუსიკის ჰანგები ბროლის თითებით აკრფელი მარგალიტებია, რომელიც კრემლის მძივთ ასხია ყელზე და-ობლებულს სიყვარულს. ამ ყოვლად მომზიბ-ლაშმა მუსიკამ ყველას გულში იპოვნა ბინა, ვინც კი შეეგნო იგი, და ყველამ თაყვანიცა სცა.

ეს მუსიკა ჩვენ ქართველებსაც გვზიბლავს, გულის ხმას გვაგდებს და, როგორც მისი თაყ-ვანისმცემლები, აღტაცებით ვისენიებთ მისი ხსოვნას.

ა — ლი

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

„თატრონ იევ იერაჟუტუთიუნ“

«*Рассказы и рассказы*»

ყოველთვიური ჟურნ (ბაქო).

№ 1—2, 1910 წ.

რაც სომხური ყოველთვიური ჟურ-ნალი „თატრონ“-ი (თეატრი) დაიხურა, მის შემდეგ სომხურ პრესაში ამ ვგარი გამოცემა არ არსებობდა. ჩვენი სიტყვა რომ სამართ-ლიანი იყოს, საჭიროა აქვე მოვიხსენიოთ, რომ არსებობს ერთი ყოველთვიური ჟურნა-ლი „გელარვესტ“-ი (ხელოვნება), რომლის პროგრამაც ძლიერ ფართოა და ამასთანავე უფრო აკადემიური ხასიათი აქვს.

ბ-ნ ანტონ მილიანს განუზრახავს ამ ნა-კ-ლის შეესება. ამიტომაც ამა წლიდან თავისი რედაქტორობით გამოუცია ზემოხსენებულ ჟურნალის 1—2 ნომერი.

საერთოდ ჟურნალი შინაარსიანია და საინ-ტერესოდ არის შედგენილი. აი რას ამბობს, სხვათა შორის, რედაქცია თავის წინასიტყვაო-ბაში მუსიკისა და ხალხურ სიმღერის დაცვის შესახებ. — „სახალხო სიმღერების დაწერა, შესწორებული და გალამაზებული სიმღერების გავრცელება სომეხ მასსაში, ამ მასის ჩამოშო-რება მახინჯისა და გაუთლელის მუსიკისგან, და ამასთანავე გაუმჯობესება მისი გემოვნებისა, — აი, ის საქმე, რითაც უნდა ამაღლდეს ხალ-ხის სულიერი მისწრაფება, მდგომარეობა, — საქმე, რომელიც სკოლებში, წრთვნის საქმეს ნახევრად მანაც უნდა მოეშველოს და ძალღონე

მისცეს მოწაფეთა ესტეტიურ, პედაგოგიურ და ფიზიოლოგიურ პროგრესს“.

საინტერესოა, სხვათა შორის, შემდეგი წე-რილები: ა. მალიანისა, — „სიმღერა ოჯახში“, ოტტო ირემისა — „სომხური თეატრი“, პეტრო-სიანისა — „სომხური თეატრის მდგომარეობა“ და სხვა.

ჟურნალი შემოკობილია შოპენის, კახაჩენ-კოს, პ. ადამიანის, ნ. გუკასოვისა და სხვათა სურათებით. ჟურნალში მოთავსებულია „ან-ფისა“—სა და „ანათემა“—ს მოკლე დახასიათება.

რავდენიმე სიტყვა არის ნათქვამი სომეხ ცნობილ კომპოზიტორის განსვენებულ მკარ იეკმალიანისა და ვ. ფ. კომისარყვესკაიას სახ-სოვრად. ჟურნალს აქვს მუსიკალური და ღრა-მატიული დამატებანიც.

გუსურებთ ჩვენს ახალს თანამომეს ხან-გრძლივს არსებობას და მედგრად მუშაობას საზოგადო მოღვაწეობის ნარეკლით მოფენილ გზაზედ. ამასთანავე რედაქციას ვურჩევთ მეტი ყურადღება მიაქციოს სომხურ ენის სი-ფაქიზეს.

Artemius.

მყირე შენიშენა

(ნ. ავალიშვილის „ჩვენი თეატრის მატანჯადან“-ის გამო)

ზოგიერთი ფაქტიური მხარე ნ. ავალიშვი-ლის იმ წერილისა, რომელიც დაისტამბა „დროების“ № 32, საჭიროებს შესწორებას, ისე არ არის წარმოდგენილი ეს მხარე, რო-გორც ნამდვილად იყო. რასაკვირველია, ბ. ა-ს ეს განგებ არ მოუვიდოდა. ეს ნაკლი იმის ბრალია, რომ ილიე ხანია მას აქეთ გასული და ადვილად შესაძლებელია კაცს მესხიერებაშ უღალატოს.

„ქ. გორში დასი ჩემი გამგეობით იყო, — ამბობს ბ. ნ. ავალიშვილი, — წარმოდგენა იქა-ურ როტონდაში გეკონდა, რომელიც ამისათ-ვის ჩვენი ხარჯით იყო გადაკეთებული, რად-გან დრო-გამოშვებით ვაპირობდით იქ წარ-მოდგენებს. ამ როტონდის გადაკეთება ბ. ალალო თუთავეს ჰქონდა მინდობილი და იმის გამგეობით მოხდა. წარმოდგენას ხალხი ბლო-მად დაესწრო და შემოსავლიც აღემატა ხარჯ-სა. ხარჯს ზევით საკმაო დავგროხა და უფრო ბევრი დავგვრებოდა, რომ როტონდის გადაკე-

თებაზე არა დაგეხარჯოდარა. მაგიერად იქ ცხოვრებაზე არაფერი დაგეხარჯავს, რადგან მისელის უმალ ბ. ადამო თუთაევმა მთელი დასი თავისთან წაგვეყვანა და ვიღერე იქიდან უკან დაებრუნდებოდით, საქებარი გულ-უხეობით გვივლიდა და გვიმასპინძლებოდა“.

ქ. გორში თეატრის, ე. ი. სცენის, გამართვის ისტორია კარგად არ ახსოვს ნ. ავალიშვილსა, როცა ამბობს, რომ „როტონდა ჩვენის ხარჯით იყო გადაკეთებული“—ო. თუ წარმოდგენები დაიწყეს როტონდაში, მაშასადამე წინათვე ყოფილა სცენა დამზადებული, თორემ კარიელ ვახტანგის როტონდაში რა წარმოდგენას მისცემდნენ. ეს ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამას უარპყავს, როცა ამბობს, როტონდა ჩვენის ხარჯით გავაკეთეთ იმ წარმოდგენის ფულითო, რომელიც პირველ მოსვლისას დაუღვამს ბ. ავ.—სა. წარმოდგენას დიდი შემოსავალი მიუტია, ხარჯ ზევით ბევრი დარჩებოდა დასს, მაგრამ როტონდის გაკეთება სასცენოდ დასკირვებია.

ამ ნამდვილად როგორ იყო: როტონდა გაკეთდა გორში განსვენებულ თ. რევაზ ერისთავის თაოსნობით. ის წარმოდგენდა სახეფხული სახლს გორის საზოგადო კლუბისას, აშენებული იყო მტკვრის პირად მდებარე ქალაქის ბაღში. 1878 წ. ქალაქის თვითმმართველობა დაწესდა, როტონდა ბალათ გადავიდა ქალაქის ხელში. ამ დროს ქალაქის სამმართველოს წევრად ვიყავ მე. დიბადა გორში აზრი თეატრის დაფუძნებისა, ამ აზრს დავადექით როგორც მე, ისე განსვენებული ნ. დისამიძე და სოფრომ მაგლობლიშვილი, რომელიც პროვინციას სცენის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვით. თ. რ. ერისთავის დახმარებით მე ვსთხოვე ქალაქის სამმართველოს, ნება მიეცა როტონდაში ქართული წარმოდგენებისთვის სცენა გავგვეკეთებინა. როტონდა უბატრონოდ ეგდო, ფიცრები დალაბა, ფანჯრები დაიპარეს, წვიმა ჩამოდიოდა შიგ და იატაკი დააზიანა. ქალაქის სამმართველომ ნება დაგვართო. მე მანვე მიუხინე როტონდას ყარაული და შევუდექი ზემოდ დასახელებულ პირთა მხურვალე დახმარებით როტონდის შეკეთებასა. განსაკუთრებით მეწყოდა ნ. დისამიძე, რომელმაც მეტი წილი მასალისა შესაკეთებლად იმან მომცა.

შევადგინეთ მოყვარულთა დასი, მოვაწყეთ სცენა, ფარდა დაგვიხატა ერთმა არტილერიის ოფიცერმა, გვარად მგონი, ნელიუბინმა. უზარმაზარი რველი ზალა როტონდისა რიგზე დაწყობილის სკამებით მოვაწყეთ. დასში იყვენ მაშინ ქალთაგან—მ. კერესელიძისა, ნ. მაგლობლიშვილისა, დანი გაბუნები და სხ. კატაგან—პავლე ბურჯანაძე, კ. სანთლიკუდაშვილი, ს. მაგლობლიშვილი, რომელიც მეტწილად სუფლიორობდა და რეჟისორობდა; ტ. ტერ-სტეფანაძე, შერმაზანოვი, ხანდისხან თვით მეც და სხვ. ვთამაშობდით გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, სულუქიანის და ჩემს პიესებსა. აი ამ წარმოდგენებიდან შემოსულს ფულით და ჩემის საკუთარს ჯიბით ვუძღვებოდით საქმეს. ამ ხანებში (ეს სულ 1877—1878 წწ. იყო) მოვიდა გორში ვანო მაჩაბელი. რომ ნახა ჩვენ შრომა და მისწრაფება, ძალიან ესიამოვნა და ვაღმომგვკაცი თუმანი, რომ ჩქარა და უფრო რიგიანად და შნოიანად მოგვეწყო როტონდა და სცენა. როცა დავსარულეთ, აი მაშინ დაიწყო თბილისის ახლად დარსებულმა ქართულმა დასმა სიარული და წარმოდგენების მართვდა და ერთი გროშიც არ დაუხარჯნია როტონდისათვის, არც შესაკეთებლად და არც მის საქირავებლად, ყველაფერი მზად და მუქთად იყო. ნ. ავალიშვილამდე მოდიოდა დასი და როტონდაში მართავდა წარმოდგენებს. იმ დასში მაშინ, როგორც მახსოვს, იყვნენ: მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია, ბ. კორინთლისა, ვ. აბაშიძე, ბერიძე, დ. დამქვიშვილი, ნ. ჯორჯაძე, ალ. ჩუბინაშვილი; ა. ყაზბეგი, ცვარლები—ასიკო და ვანო და სხ. შემდეგ ნ. ავალიშვილიც გვეწვია დასთან. მაგრამ არავითარიმე ხარჯი არ გაუწყვია როტონდის გადაკეთებაზე. არ იქნება ურიგო, დავვისახელოს ბ. ავალიშვილმა, ვინ და რადენი დახარჯა როტონდის ვადასაკეთებლად.

მაღე როტონდა ქალაქს დასკირდა კლუბისათვის. ამ დროს ტფილისში საკუთარი ქართული თეატრი აშენდა. ჩვენ იქიდან შევეუკეთეთ დეკორაციები, ფარდები და როტონდიდან დავავიტანეთ სცენა ნ. დისამიძის შენობაში. დისამიძემ მექთად დავვითმო დიდი ზალა ორი პატარა ოთახით სამირფარეოდ. შემდეგ აქ დარწყო წარმოდგენები, მაგრამ ამას რადენსამე საკუთარს წერილი ვუძღვნით.

ა. თუთაევი



# სათეატრო აზრები

**სს ქართული პიესა სომხურად.** სომეხთა ახალგაზრდა მწიგნობარი ა. კასპარიანი უკვე შეუდგა შულვა დადიანის პიესის „როს ნალიმოდენ“-ის სომხურად გადათარგმნას.

**სს ივ. გომართლის პიესები** უკვე ითარგმნება — „ეკიმთან“ ებრაულად, ხოლო „დრამატ. გამგეობის წევრი“-ს სომხურად გადათარგმნას ამ დღეებში შეუდგებიან. პიესას წარმოადგენს საქველმოქმედო მიზნით სომხის ინტელიგენციის ერთი წრე.

**სს სადიღმარხვი დრამატული დასნი.** თბილისის ქარ. დრამ. დასის მსახიობნი აპირებენ აშხანაგობის შედგენას. რადენიმე წარმოდგენას თბილისში გამართვენ, ხოლო შემდეგ დაბა-სოფლებსაკენ გაემგზავრებიან. ავრედვე აშხანაგოა სდგება ქუთაისში.

**სს თათრული წარმოდგენა** გაიმართება ქართულ თეატრში ორშაბათს 10 მარტს.

**სს გორის თეატრი.** ამას წინაღ აღენიშნეთ, რომ გადწვეტილია გორში თეატრის აპირებენ. როგორც შევიტყუთ, სათეატრო დარბაზს აშენებს გორის მოქალაქე მარტოვი და ხუთის წლით იჯარით აძლევს ადგილობრივ ინტელიგენციის ერთ წრეს. წრეს განუზრახავს თეატრის უკვე მოსასწავლად დახმარება სთხოვოს ქარ. დრამ. საზ. გამგეობას, რომ შემწევბა აღმოუჩინოს დეკორაციებისა და სხ. მიწოდებით.

**სს წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით** გაიმართება ქარ. თეატრში. პირველი 19 მარტს მოიწვილებას მიიღებენ მ. ა. კლოტოვისა, ბბ. ევლახოვი და სარაჯიშვილი (იმდერებს ქართულად). სხვათა შორის იმდერებს „მგონის სიმღერას“ დ. ი. არაყიშვილის ახალი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

**სს ოსური წარმოდგენა.** კონ. ჯატიყემა შეამდგომობა აღძრა გუბერნატორის წინაშე ოსურად წარმოდგენის გამართვის შესახებ ზუბალანთ სახ. სახლში ოს-მოწაფეთა სასარგებლოდ.

**სს მსკოვანი დრამატურგის გ. ნ. სუნდუკიანცის** პიესა „სიყვარული და თავისუფლება“; ქართულად გადათარგმნილი, უკვე წარედგინა კაკ. საცენსურო კომიტეტს ნებადასართვლად. პიესა გადაითარგმნა ავტორის ხელმძღვანელობით. პიესას მოკლე ხანში დასდგამენ. განზრახულია პიესაში მინაწილოვანის მისაღებად, სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მოწვევა.

**სს ჩვენის ურნალის თანამშრომლის** სერიაკაზე დამკვერელ D. Davidian-ის კონცერტებს ოსმალეთში საუცხოვოდ ჩაუვლია.

**სს მოსკოვის** სამხ. თეატრის რეჟისორის კურსების მოწვევითა ქართველთა წრეს განზრახავს რადე-

ნიმე პიესის მომზადება და ქართულად დადგმა. სარ. კურსების მოწვეუ ა. რ. წუწუნავა ამ განზრახვით საქართველოში ჩამოვა აღდგომის კვირებში.

**სს ვალ. შალიკაშვილი,** როგორც მოსკოვიდან გვეტყობინებენ, ავად ვაშხარა.

**სს ვლ. ბურცევის პატივსაცემლად** ნიუიორკში მოსვლის გამო ადგილობრივ მსხოვრებ რუსთაგან წარმოდგენილ იქმნა „აზეფი“, გლაგოლის თხზულება.

**სს ახალი პიესები.** ვალ. შალიკაშვილმა სთაგუნა ი. შოუს „კეისარი და კლეპატრა“ და ი. გორდინის „სეტანა“.

**სს ვასო ურუშაძე** რეჟისორად მიწვეულია ჭიათურის დრ. საზოგ. -მეურ მთელის წლით.

◆ „**ნევის ფარსი**“ წარმოდგენებს დაიწყებს ორშაბათს 8 მარტს, „არტ. საზ. თეატრში“.

**სს 26 თებერვალს** კ. მესხის საბუნებისოდ წარმოდგენილი იქმნა „ხალხის სიკეთე“ გერტლისა და „ანაოლიონის სიკვდილი“.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც მრავალი დაესწრო.

**სს 27 თებერვალს** გამართულ იქმნა ბენეფისი ახალგაზრდა მსახიობთა ი. ივანიძისა და ნ. გვაჩაძისა. წარმოდგენილ იქმნა ლ. ანდრეევის „დენი ჩვენი ცხოვრებისა“.

ამ წარმოდგენამაც რიგიანად ჩაიარა, ხოლო სამწუხაროა, რომ საზოგადოება მცირე დაესწრო.

**სს 28 თებერვალს** წარმოდგენილ იქმნა „სამშობლო“, რომლითაც დასრულდა სათეატრო სეზონი. ხალხი მრავალი დაესწრო.

## X ჩვენი მსახიობნი

**დესპინე ივანიძე** 17 წელიწადია სცენაზე მუშაობს. ცნობილია როგორც კეთილ-სინდისიერი მუშაკი სცენისა. აქვს განსაკუთრებული ამპლუა დრამატულ მოხუც ქალებისა და ქართულს სცენაზე ამ ამპლუაში არა ჰყავს ბაღალი. განსაკუთრებით კარგათ თამაშობს სუშბათაშვილის პიესებში, „შევარდები და ყორნები“—პოლექავეას როლს, „ლაღტში“—ისახარს, ა. ცვაგარლისა „ქართველ დედას“, „კაი გრაქში“—კორნელიას, „ურთელ აკოსტა“—ში დედის როლს და სხვ.

პირველად კ. მესხის ხელმძღვანელობით დაიწყო სცენაზე თამაში და შემდეგ ვლ. მესხიშვილითან განავითარა და განაგრძო მუშაობა. რადენიმე სეზონი თბილისშიაც მსახურობდა და ახლა-კი ქუთაისის სცენაზეა.

რედაქ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

# მიიღება განცხადებანი ყურნალში დასაბეჭდათ

**ღროცხა** ყოველდღიური სა-  
ბოლოტიკო და სა-  
ლიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით.  
წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით  
4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5  
კ., დამატებით 7 კაპ. ხელის მოწერა მიიღება  
თბილისში „ღროცხის“ კანტორაში და ქ. შ.  
წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალი-  
შვილითან; ქუთაისში: ის. კვიციანიძესთან, ხონ-  
ში: გ. მეტეხესთან, გორში: ს. შველიძესთან,  
ჭიათურაში: ს. ტარუაშვილითან. ფული გამო-  
იზავენოს Тифлисе, რეკ. „Дროცха“, И. С. Агла-  
дзе. რედაქ.-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე**.

**ახალი სხივი** ყოველ-დღიუ-  
რი საბოლო-  
ტიკო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად  
7 მ., ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარედ 14  
მ. ნახევარ წლით 7 მ. სპი თვით თბილისში  
2 მ. 20 კ., თბილის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი  
თვით 80 კ., თბილის გარედ 90 კ. ადრესი:  
რუსის ქ., № 3, ზემო სართული. Тифлисе тип.  
„Шрома“ Кал. Кон. Цуладзе.

**НОВАЯ РЪЧЬ** ежедневная общес-  
твенно - политиче-  
ская и лигერатурная газета; подписная плата  
для городских на годъ 7 р. на полгода 4 р.  
для ипогородских 8 „ 5 „  
помѣсячно 75 к. адресъ: Тифлисе, Дворцовая  
д. Груз. Дворян. ред. газ. „Новая Рѣчь“.  
Редакт.-Издат. П. А. Готуа.

Продолжается подписка на 1910 года на

## „ТЕАТРЪ И ИСКУССТВО“

14 годъ изданія.

Подписная цѣна на годъ 7 рублей.  
Главная контора—СПБ., Вознесенскій, 4,  
Тел. 16-69. Для телеграммъ: Петербургъ,  
Театръ Искусство. Допускается расрочка  
3 р. при подпискѣ, 2 р.—къ 1 апрѣля и 2 р.  
къ 1 июня, За границу 10 р.  
Отдѣльные №№ по 20 коп.  
Ред. **О. Р. КУГЕЛЬ**.

Изд. **З. В. ТИМОФѢВА** (Холмская).

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ყურ-  
ნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინ-  
დადებების ქართულ, სოიხურ და რუსულ  
ენებზე განმარტებით.

## „კავკასიის ესპერანტისტი“

ყურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრ-  
ცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა  
და სხვა სტატიების გარდა, ყურნალში მოთავ-  
სებული იქნება სისტემატიური კავკეთილები  
ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქარ-  
თულ და სომხურ ენების შემწეობით. ყურ-  
ნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ  
ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

წელიწადში ღირს 1 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის  
პრ. № 98 მმ. ჰაჯიყევის მაღაზიაში, 2) პუშ-  
კინის პასაუცი, ს. სლომოვიანცის ცნკოვრა-  
ფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ  
საფაეო ვიზნაზიაში.  
სხვა ქალაქებიდან: Тифлисе, Панасевича ул. № 1  
Айну Тер-Аствацатрянцу.

6-й годъ изданія

**„НОВАЯ НИВА“** Единет. общед. жур-  
наль, открыта подписка  
ня 1910 годъ; подписчики  
получать: 52 №№ журнала, 52 книги, 52 при-  
лѣженія, а именно: 12 книгъ «новости лиге-  
ратуры»; 12 книгъ полного собранія сочи-  
неній И. С. Тургенева. 12 книгъ „Избранныя произ-  
веденія“ Некрасова, Надсона, Пушкина, Лер-  
монтова, гр. Л. Толстого, гр. А. Толстова. 12  
книгъ: „всемирная библиотена“; 4 книги са-  
моучители: нѣмецкаго и французскаго языка,  
самоучитель борьбы и фехтованія, самоучи-  
ль танцевъ и музыки. 52 фотогравюры ро-  
скошнѣй альбомъ въ золотомъ переплетѣ, по-  
сѣдней парижской выставки „салонъ“ и-  
сполненный по специальному заказу редакцїи  
въ Лейпцигѣ. Календарь на 1910 годъ и-  
сполненный въ краскахъ. Подписная цѣна на  
журналь со всѣми приложеніями 5 р. съ доставкой  
и пересылкой по всѣ города 6 р. за границу 9 р. до-  
пускается расрочка. Подписка принимается въ ре-  
дакцїи „НОВАЯ НИВА“, СПБ., Невскій 76.  
Издатель-редакторъ **Н. А. КУРИЛОВЪ**.

Дворцовая ул., домъ груз., Дворянства.